ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3524940

ნომერი: AR1536122

თარიღი : 30.08.2017

გაცემის თარიღი : 18.09.2017

გაცნობის თარიღი : 18.09.2017

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აეროპორტი , (ნაკვეთი 01/082) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კაკაშვილი პ/ნ 01034003560
- თბილისი ო.ჩეჩელაშვილის ქ. N 157

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 30 აგვისტოს №AR1536122 განცხადება, ამავე სამსახურის 2017 წლის 25 აგვისტოს №3485805 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად,

შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამსახურის 2017 წლის 25 აგვისტოს №3485805 გადაწყვეტილებით სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებლად მიაჩნია, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, აეროპორტის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.30.001.082) მიწის ნაკვეთზე სერვიტუტის ცვლილება.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა კერძოდ: 2017 წლის 30 აგვისტოს განცხადებით №AR1536122 მოთხოვნილ იყო მიწის ნაკვეთზე ს/კ: №01.19.30.001.082 სერვიტუტის გაუქმება, ხოლო სამსახურის 2017 წლის 25 აგვისტოს №3485805 გადაწყვეტილებაში დაფიქსირებულია ცვლილება სერვიტუტში.
ამავე გადაწყვეტილებიდან და მისი თანდართული ფაილიდან (დანართი N1) ირკვევა, რომ სამსახურმა დააფიქსირა შემდეგი პოზიცია: დადგენილი სერვიტუტი 244 კვ.მ-ზე გაუქმდა და დარჩა ახალ მოწყობილ გზაზე დადგენილი სერვიტუტი 1888 კვ.მ-ზე, რაც აისახა სამსახურის 2017 წლის 25 აგვისტოს №3485805 გადაწყვეტილების თანდართულ ფაილში (დანართი N1). შესაბამისად, განცხადებაში დასმული საკითხი არ წამოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების საფუძველს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
აქვე განგიმარტავთ, რომ წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.